ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ევროკავშირიდან გრანტის მიღების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, იოსებ ხახალეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მიუნიციპალიტეტი აღნიშნავს, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში გარკვეული პროექტების განსახორციელებლად ევროკავშირი თანახმაა გამოყოს გრანტი 769,279 ((შვიდას სამოცდაცხრა ათას ორას სამოცდაცხრამეტი) ევროს ოდენობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების 2019 წლის 20 სექტემბრის N 1990 საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს იოსებ ხახალეიშვილს, ევროკავშირისგან ფულადი დახმარების პროექტის ფარგლებში მიიღოს 769,279 ((შვიდას სამოცდაცხრა ათას ორას სამოცდაცხრამეტი) ევროს ოდენობით გრანტი და გააფორმოს საგრანტო ხელშეკრულება.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ. კუპრაძის ქუჩა N11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი